მოდული 3: კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები

P4E
მშობლები
განათლებისთვის

პირველ რიგში დავფიქრდეთ მასწავლებლის პერსპექტივაზე. ბევრი მასწავლებლისგან მომისმენია, რომ მშობლებთან ურთიერთობა ერთულებათ. ხშირია, როცა მშობლები მასწავლებელთან საყვედურებისთვის ან ბავშვის პრობლემების გასარჩევად მიდიან. მათ მაღალი მოლოდინები და მასწავლებლის მიმართ პრეტენზიები აქვთ. ამ დროს რა ხდება? მასწავლებელი დგება თავდაცვის პოზიციაში და არის ნაკლები მიმღებლობა სიახლეების მიმართ.

ახლა მეორე, მშობლების მხარეს შევხედოთ. აქაც მსგავსი სიტუაციაა: მასწავლებლები ძირითადად მაშინ უკავშირდებიან ცალკეულ მშობლებს, როდესაც ბავშვს პრობლემები აქვს, ან დავალებები არ შეასრულა, ან ცუდად მოიქცა. შესაბამისად, მშობელიც მუდმივად თავდაცვის რეჟიმშია. ამ დროს რა ხდება ბავშვებში? ისინი ხედავენ, რომ მასწავლებლები და მშობლები თოკს სხვადასხვა მხარეს ქაჩავენ და ერთსაც უჯანყდებიან და მეორესაც. მათ არ აქვთ იმის შეგრძნება, რომ გარემო მათთვის ხელშემწყობია. ამას კვლევები გვიდასტურებენ. მათ მიხედვით, მასწავლებლისა და მშობლის კონფლიქტი ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, მის აკადემიურ შედეგებზე. ხშირად არის ამ დროს ქცევითი პრობლემები, პრობლემები სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში და ა.შ.

რა არის გამოსავალი და რა შუაშია სამეურვეო საბჭო? პირველ რიგში, სამეურვეო საბჭოს შეუძლია კარგი ურთიერთობისა და კოლაბორაციის მაგალითი იყოს. საბჭოს შეუძლია შექმნას უსაფრთხო და ნეიტრალური სივრცე, სადაც მასწავლებლები და მშობლები საუბრობენ მშვიდ გარემოში და არა მხოლოდ ნეგატიურ თემებზე. საბჭოში განიხილება საერთო მიზნები და მათი მიღწევის გზები. საბჭოს კრებებს ესწრება მოსწავლეც, რომელსაც ექმნება იმის განცდა, რომ ყველა ერთ გუნდად შეკრული მუშაობს მისი და სხვა მოსწავლეების კეთილდღეობისთვის. ეს შეგრძნება გადაეცემა სხვა ბავშვებსაც.

კომუნიკაციის სწორი ფორმების ცოდნა და შერჩევა სამეურვეო საბჭოს მშობლებს ასევე დაეხმარება საბჭოს გარეთ, სკოლის სხვა მშობლებთან და დირექციასთან ურთიერთობაშიც.

სწორი კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების ძირითადი პრინციპებია:

- **ღია და პირდაპირი კომუნიკაცია:** ყველანაირი პრობლემა უნდა განიხილოს პირდაპირი ფორმით, თუმცა ამავდროულად პატივისცემით. უკმაყოფილების დამალვა მხოლოდ დაამძიმებს სიტუაციას და გამოიწვევს გაუგებრობებს. ამისათვის აუცილებელია, სამეურვეო საბჭოს წევს მშობლებს ჰქონდეთ სითამამე პრობლემის წამოსაჭრელად. შეგიძლიათ გამოიყენოთ სენდვიჩის მეთოდი, როდესაც კრიტიკულ შენიშვნას წინ უძღვის პოზიტიური კომენტარი და სრულდება ასევე პოზიტიური სიტყვებით.

- **აქტიური მოსმენა:** ყურადღებით მოუსმინეთ მეორე მხარეს. დასვით კითხვები, რომ უკეთ გაიგოთ, თუ რისი თქმა სურთ და დარწმუნდით, რომ სწორად გაიგეთ მათი ნათქვამი. (“თუ სწორად გავიგე, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ...“)..

- **პატივისცემისა და ემპათიის გამოხატვა:** ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მეორე მხარესაც ჩვეულებრივი ადამიანები დგანან. თანაგრძნობით მოეკიდეთ მათ.

- **პირდაპირი, მაგრამ არა პირადი კრიტიკა:** მოერიდეთ პირად შეტევებს, გამოიყენეთ „მე“ ფრაზები. იმის მაგივრად, რომ ვთქვათ: „თქვენ სპორტის გაკვეთილებს არ ატარებთ“, შეგვიძლია ვთქვათ: „ჩვენ, მშობლები, ძალიან ვნერვიულობთ, რომ სპორტის გაკვეთილები ფაქტიურად არ ტარდება“.

- **კონკრეტული და რეალისტური მიზნების დასახვა:** ხშირად თეორიული გარჩევა ისე დიდხანს გრძელდება, გვავიწყდება კონკრეტული და რეალისტური მიზნების დასახვა. შემდეგი კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა მოქმედების დაწყების საშუალებას იძლევა. გადაანაწილეთ როლები და დავალებები, ეს თავიდან აგაცილებთ მომავალ გაუგებრობებს. (“ვფიქრობ, ყველა შევთანხმდით, რომ ბავშვებს მეტი დრო სჭირდებათ დიდი დასვენებისთვის. ახლა შეგვიძლია კონკრეტულ გეგმაზე ვისაუბროთ. რა შეიძლება იყოს შემდეგი ნაბიჯი?“).

- **დახმარების შეთავაზება და მხარდაჭერა:** როდესაც პრობლემის გადაჭრაზე მუშაობთ, შესთავაზეთ მზადყოფნა მხარდაჭერისთვის. ეს შეიძლება იყოს იდეების გაზიარება, დამატებითი რესურსების მოძიება, ან უშუალო მონაწილეობა პრობლემის გადაჭრაში. (“სკოლაში ჯანსაღი კვების პოპულარიზაციისთვის შემიძლია კვების პირამიდის პოსტერები გირჩიოთ. შემიძლია მოვიძიო, თუ სად შეიძლება მათი შეძენა“).

- **შეხვედრის შეჯამება:** შეხვედრების ბოლოს სასურველია შეჯამდეს განხილული საკითხები და გამოიყოს დრო დამატებითი კითხვებისა და კომენტარებისთვის. შეხვედრის პოზიტიური სიტყვებითა და მადლობით დასრულება მეტ სტიმულს მისცემს ყველა მხარეს, მათი როლის ფარგლებში დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის.

ამ მოდულში განვიხილეთ კომუნიკაციის პრინციპები, რომელიც აუცილებელია სკოლის სამეურვეო საბჭოს ეფექტური მუშაობისთვის. თუმცა, ეს პრინციპები რა თქმა უნდა საბჭოს გარეთაც გამოიყენება, მაგალითად მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობაში. სკოლაში პოზიტიური და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას შეიძლება დრო და ენერგია დასჭირდეს, თუმცა შედეგებით არა მხოლოდ ახლანდელი მოსწავლეები, არამედ ყველა მომდევნო თაობაც ისარგებლებს. ამისათვის თითოეული მშობლის სკოლის ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. სამეურვეო საბჭოში მონაწილეობა კი ამის ერთ-ერთი საშუალებაა.

გამოყენებული მასალა და დამატებითი ინფორმაცია

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005).
- რა მთავარი ფუნქციები აქვს საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოებს.
- Henderson & Mapp (2002). A New Wave of Evidence: The Impact of School, Family, and Community Connections on Student Achievement.
- Epstein et al. (2002). School, Family, and Community Partnerships: Your Handbook for Action.
- Fan & Chen (2001). Parental Involvement and Students' Academic Achievement: A Meta-Analysis.
- Desforges & Abouchaar (2003). The Impact of Parental Involvement, Parental Support, and Family Education on Pupil Achievement and Adjustment: A Literature Review.
- Hoover-Dempsey et al. (1997). Why Do Parents Become Involved in Their Children's Education?
- Dervarics & O'Brien (2019). Eight Characteristics of Effective School Boards.

კურსი მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მშობელთა ჩართულობა შვილების განათლებაში“ ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.